

(=24 ოქმს თან ერთვის სხდომის ჩანაწერი)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის

2013 წლის 4 აპრილის სხდომის

ოქმი =24

სენატის სხდომას, წევრთა სიითი შემადგენლობის 28 წევრიდან (1 საპატიო წევრი), ესწრებოდა 18. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს სენატის სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე. სხდომის თავმჯდომარემ სენატის წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცდა.

სპიკერი:სანამ დღის წესრიგის განხილვას შევუდგებით, მინდა ბატონ აგული სოხაძეს მივულოცო სენატის საპატიო წევრობა და ვუსურვო წარმატებები. ახლა კი განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი – სტუ-ს 2013 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: მინდა განხილვის მიზნით, წარმოგიდგინოთ სტუ-ს 2013 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1. ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში სხვა საქონელი და მომსახურების მუხლის, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება, რომელიც არ არის კლასიფიცირებული პუნქტიდან 10 000 ლარი გადატანილ იქნეს საგანმანათლებლო დაწესებულებების კვების ხარჯების მუხლში;

2. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში წარმომადგენლობითი ხარჯების, სუვენირების შეძენის ხარჯებიდან 500 ლარი და სესიების, კონფერენციების, სემინარების ორგანიზების ხარჯებიდან 500 ლარი გადატანილ იქნეს წარმომადგენლობითი ხარჯების, მიღებებისა და ღონისძიებების ხარჯების პუნქტში;

3. სამშენებლო ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 3 500 ლარი გადატანილ იქნეს მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენის მუხლში;

4. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში იჯარასთან და ქირასთან დაკავშირებული ხარჯების პუნქტიდან 5 000

ლარი და კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო ხარჯების პუნქტიდან 5 000 ლარი გადატანილ იქნეს საგანმანათლებლო დაწესებულებების კვების ხარჯების მუხლში;

5. საერთაშორისო საგრანტო ხელშეკრულების TEMPUS-ის №516613 პროექტის ხარჯთაღრიცხვითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სტუ-ს თანადაფინანსების წილი 2013 წლისთვის შეადგენს 8 304 ევროს ეკვივალენტით ეროვნულ ვალუტაში, რაც შეადგენს 17 854 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტის თანადაფინანსების წილი 17 854 ლარი ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში: საკანცელარიო ხარჯებიდან 17 320 ლარი და მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 534 ლარი გადატანილ იქნეს სუბსიდიის მუხლში და გადაირიცხოს გრანტის მიზნობრივ ანგარიშზე;

6. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ „გამოყენებითი კვლევებისათვის“ სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2011 წლის კონკურსში გამარჯვებული სამეცნიერო პროექტები დამტკიცდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს 2012 წლის 21 თებერვლის №07 სხდომის ოქმისა და ფონდის გენერალური დირექტორის 2012 წლის 11 მარტის №14 ბრძანების საფუძველზე. საგრანტო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, სტუ წარმოადგენს თანადაფინანსებელ ორგანიზაციას 2013 წლის აპრილის თვიდან, რაც მდგომარეობს შემდეგში:

6.1. საგრანტო ხელშეკრულება №10/03 (სამეცნიერო ხელმძღვანელი ნიკოლოზ მღებრიშვილი). გრანტის მთლიანი მოცულობა შეადგენს 109 600 ლარს, საიდანაც სტუ-ს თანადაფინანსების წილი 2013 წლის III საანგარიშო პერიოდისთვის შეადგენს 7 200 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში: შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტიდან – 4 620 ლარი; ოფისისათვის საჭირო ნივთებისა და მასალების ხარჯებიდან – 2 580 ლარი გადატანილ იქნეს სუბსიდიის მუხლში და გადაირიცხოს გრანტის მიზნობრივ ანგარიშზე;

6.2. საგრანტო ხელშეკრულება №10/09 (სამეცნიერო ხელმძღვანელი გია პეტრიაშვილი). გრანტის მთლიანი მოცულობა შეადგენს 168 800 ლარს, საიდანაც სტუ-ს თანადაფინანსების წილი 2013 წლის III საანგარიშო პერიოდისთვის შეადგენს 14 400 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და

ნაერთ ბიუჯეტში: მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის ხარჯებიდან - 1 752 ლარი; შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტიდან - 3 852 ლარი; ინტერნეტის ხარჯებიდან - 1 020 ლარი; არაფინანსური აქტივების ნედლეულისა და მასალების შეძენის ხარჯებიდან - 5 800 ლარი; საკანცელარიო ხარჯებიდან - 1 390 ლარი; ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯებიდან - 586 ლარი გადატანილ იქნეს სუბსიდიის მუხლში და გადაირიცხოს გრანტის მიზნობრივ ანგარიშზე;

6.3. საგრანტო ხელშეკრულება №10/06 (სამეცნიერო ხელმძღვანელი რამაზ ქაცარავა). გრანტის მთლიანი მოცულობა შეადგენს 130 000 ლარს, საიდანაც სტუ-ს თანადაფინანსების წილი 2013 წლის III საანგარიშო პერიოდისთვის შეადგენს 15 000 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენის მუხლიდან - 15 000 ლარი გადატანილ იქნეს სუბსიდიის მუხლში და გადაირიცხოს გრანტის მიზნობრივ ანგარიშზე;

6.4. საგრანტო ხელშეკრულება №10/13 (სამეცნიერო ხელმძღვანელი ლალი შავლიაშვილი). გრანტის მთლიანი მოცულობა შეადგენს 80 500 ლარს, საიდანაც სტუ-ს თანადაფინანსების წილი 2013 წლისთვის შეადგენს - 5 250 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში: ნორმატიული აქტებისა და საგამომცემლო ხარჯებიდან - 353 ლარი; ნედლეული და მასალების ხარჯებიდან - 1 940 ლარი; ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების ხარჯებიდან - 2 957 ლარი გადატანილ იქნეს სუბსიდიის მუხლში და გადაირიცხოს გრანტის მიზნობრივ ანგარიშზე;

7. კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლების ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან გადატანილ იქნეს: 2 000 ლარი - მივლინების მუხლში; 990 ლარი - კავშირგაბმულობის ხარჯებში; 200 ლარი - საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯებში; 1 800 ლარი - სატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე რემონტისა და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯებში; 5 000 ლარი - საგამომცემლო-სასტამბო ხარჯებში; 2 000 ლარი - ელ. ენერჯის ხარჯებში; 1 000 ლარი - საკანცელარიო ხარჯებში; 500 ლარი - მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენის ხარჯებში; 3 500 ლარი - არაფინანსური აქტივების კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის მუხლში;

8. გაეროსა (პროგრამა „უნარების განვითარება სასოფლო-სამეურნეო მანქანებისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით“) და ა(ა)იპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის შეთანხმების თანახმად დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში განხორციელდეს ცვლილება: კვების ხარჯებიდან 2 013 ლარი გადატანილ იქნეს სხვა საქონელი და მომსახურების არაკლასიფიცირებული ხარჯების პუნქტში.

პროგ. დავით ჯაფარიძე: ვფიქრობ, რომ აღნიშნული ცვლილებები უფრო დაწვრილებით უნდა იყოს გაწერილი, რასაც მე ამჟამად ვერ ვხედავ.

პროგ. ქეთევან ქოქრაშვილი: ვიღებ თქვენს შენიშვნას და გაძლევთ პირობას, რომ უმოკლეს ვადებში დაწვრილებითი ხარჯთაღრიცხვა გადმოგეცემათ თქვენც და მთლიანად სენატის შემადგენლობას.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 4 აპრილის =24 სხდომაზე პროგ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს 2013 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა გადაწყვიტა: სტუ-ს 2013 წლის ბიუჯეტში განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

1. ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში სხვა საქონელი და მომსახურების მუხლის, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება, რომელიც არ არის კლასიფიცირებული პუნქტიდან 10 000 ლარი გადატანილ იქნეს საგანმანათლებლო დაწესებულებების კვების ხარჯების მუხლში;

2. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში წარმომადგენლობითი ხარჯების, სუვენირების შეძენის ხარჯებიდან 500 ლარი და სესიების, კონფერენციების, სემინარების ორგანიზების ხარჯებიდან 500 ლარი გადატანილ იქნეს წარმომადგენლობითი ხარჯების, მიღებებისა და ღონისძიებების ხარჯების პუნქტში;

3. სამშენებლო ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 3 500 ლარი გადატანილ იქნეს მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენის მუხლში;

4. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში იჯარასთან და ქირასთან დაკავშირებული ხარჯების პუნქტიდან 5 000 ლარი და კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო ხარჯების პუნქტიდან 5 000 ლარი გადატანილ იქნეს საგანმანათლებლო დაწესებულებების კვების ხარჯების მუხლში;

5. საერთაშორისო საგრანტო ხელშეკრულების TEMPUS-ის №516613 პროექტის ხარჯთაღრიცხვითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სტუ-ს თანადაფინანსების წილი 2013 წლისთვის შეადგენს 8 304 ევროს ეკვივალენტით ეროვნულ ვალუტაში, რაც შეადგენს 17 854 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტის თანადაფინანსების წილი 17 854 ლარი ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში: საკანცელარიო ხარჯებიდან 17 320 ლარი და მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 534 ლარი გადატანილ იქნეს სუბსიდიის მუხლში და გადაირიცხოს გრანტის მიზნობრივ ანგარიშზე;

6. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ „გამოყენებითი კვლევებისათვის“ სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2011 წლის კონკურსში გამარჯვებული სამეცნიერო პროექტები დამტკიცდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს 2012 წლის 21 თებერვლის №07 სხდომის ოქმისა და ფონდის გენერალური დირექტორის 2012 წლის 11 მარტის №14 ბრძანების საფუძველზე. საგრანტო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, სტუ წარმოადგენს თანადაფინანსებელ ორგანიზაციას 2013 წლის აპრილის თვიდან, რაც მდგომარეობს შემდეგში:

6.1. საგრანტო ხელშეკრულება №10/03 (სამეცნიერო ხელმძღვანელი ნიკოლოზ მღებრიშვილი). გრანტის მთლიანი მოცულობა შეადგენს 109 600 ლარს, საიდანაც სტუ-ს თანადაფინანსების წილი 2013 წლის III საანგარიშო პერიოდისთვის შეადგენს 7 200 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში: შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტიდან – 4 620 ლარი; ოფისისათვის საჭირო ნივთებისა და მასალების ხარჯებიდან – 2 580 ლარი

გადატანილ იქნეს სუბსიდიის მუხლში და გადაირიცხოს გრანტის მიზნობრივ ანგარიშზე;

6.2. საგრანტო ხელშეკრულება №10/09 (სამეცნიერო ხელმძღვანელი გია პეტრიაშვილი). გრანტის მთლიანი მოცულობა შეადგენს 168 800 ლარს, საიდანაც სტუ-ს თანადაფინანსების წილი 2013 წლის III საანგარიშო პერიოდისთვის შეადგენს 14 400 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში: მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის ხარჯებიდან - 1 752 ლარი; შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტიდან - 3 852 ლარი; ინტერნეტის ხარჯებიდან - 1 020 ლარი; არაფინანსური აქტივების ნედლეულისა და მასალების შეძენის ხარჯებიდან - 5 800 ლარი; საკანცელარიო ხარჯებიდან - 1 390 ლარი; ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯებიდან - 586 ლარი გადატანილ იქნეს სუბსიდიის მუხლში და გადაირიცხოს გრანტის მიზნობრივ ანგარიშზე;

6.3. საგრანტო ხელშეკრულება №10/06 (სამეცნიერო ხელმძღვანელი რამაზ ქაცარავა). გრანტის მთლიანი მოცულობა შეადგენს 130 000 ლარს, საიდანაც სტუ-ს თანადაფინანსების წილი 2013 წლის III საანგარიშო პერიოდისთვის შეადგენს 15 000 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენის მუხლიდან - 15 000 ლარი გადატანილ იქნეს სუბსიდიის მუხლში და გადაირიცხოს გრანტის მიზნობრივ ანგარიშზე;

6.4. საგრანტო ხელშეკრულება №10/13 (სამეცნიერო ხელმძღვანელი ლალი შავლიაშვილი). გრანტის მთლიანი მოცულობა შეადგენს 80 500 ლარს, საიდანაც სტუ-ს თანადაფინანსების წილი 2013 წლისთვის შეადგენს - 5 250 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში: ნორმატიული აქტებისა და საგამომცემლო ხარჯებიდან - 353 ლარი; ნედლეული და მასალების ხარჯებიდან - 1 940 ლარი; ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების ხარჯებიდან - 2 957 ლარი გადატანილ იქნეს სუბსიდიის მუხლში და გადაირიცხოს გრანტის მიზნობრივ ანგარიშზე;

7. კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლების ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან გადატანილ იქნეს: 2 000 ლარი - მივლინების მუხლში; 990 ლარი - კავშირგაბმულობის ხარჯებში; 200 ლარი - საწვავ-საპოხი

მასალების შეძენის ხარჯებში; 1 800 ლარი - სატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე რემონტისა და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯებში; 5 000 ლარი - საგამომცემლო-სასტამბო ხარჯებში; 2 000 ლარი - ელ. ენერჯის ხარჯებში; 1 000 ლარი - საკანცელარიო ხარჯებში; 500 ლარი - მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენის ხარჯებში; 3 500 ლარი - არაფინანსური აქტივების კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის მუხლში;

8. გაეროსა (პროგრამა „უნარების განვითარება სასოფლო-სამეურნეო მანქანებისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით“) და ა(ა)იპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის შეთანხმების თანახმად დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში განხორციელდეს ცვლილება: კვების ხარჯებიდან 2 013 ლარი გადატანილ იქნეს სხვა საქონელი და მომსახურების არაკლასიფიცირებული ხარჯების პუნქტში.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეორე საკითხი-სტუ-ს TEMPUS - ის პროექტ SPAMGO -ს ფარგლებში შექმნილი სასწავლო ცენტრის მიერ ჩუქების სახით სტუ-ს ბალანსზე გადმოსაცემი მატერიალური ფასეულობების შესახებ – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: სტუ-ს TEMPUS -ის პროექტ SPAMGO -ს ფარგლებში შექმნილი სასწავლო ცენტრის მიერ ჩუქების სახით უნდა გადმოეცეს სტუ-ს მატერიალური ფასეულობები, რომელთა ღირებულება ჯამში შეადგენს 6 998 ლარს.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეორე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 4 აპრილის =24 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს TEMPUS -ის პროექტ SPAMGO -ს ფარგლებში შექმნილი სასწავლო ცენტრის მიერ ჩუქების სახით სტუ-ს ბალანსზე გადმოსაცემი მატერიალური ფასეულობების შესახებ.

სენატმა გადაწყვიტა, დამტკიცდეს საკითხი, რომელიც ეხება სტუ-ს TEMPUS - ის პროექტ SPAMGO -ს ფარგლებში შექმნილი სასწავლო ცენტრის მიერ ჩუქების

სახით სტუ-ს ბალანსზე გადმოსაცემ მატერიალურ ფასეულობებს, რომელთა ღირებულება ჯამში შეადგენს 6 998 ლარს.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მესამე საკითხი – სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანის პროფ. რ. ქუთათელაძის მოხსენებითი ბარათის შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 28 თებერვლის დადგენილება №880 – მომხსენებელი პროფ. რუსუდან ქუთათელაძე.

პროფ. რუსუდან ქუთათელაძე: მოგახსენებთ, რომ ტექსტის რეფერირებისა და თარგმანის სამაგისტრო პროგრამის მე-2 სასწავლო წლის სტუდენტებს მაგდა ბაქანიძეს და დიანა კუნჭულიას მოპოვებული ჰქონდათ 100%-ანი სასწავლო გრანტი, მაგრამ პროგრამამ ვერ გაიარა აკრედიტაცია, რის გამოც შეწყდა სახელმწიფოს მიერ სასწავლო გრანტით დაფინანსება. გთხოვთ აღნიშნული სტუდენტები გათავისუფლდნენ ერთი წლის სწავლის საფასურის გადახდისაგან.

ასევე, მოგმართავთ თხოვნით მე-2 სასწავლო წლის სტუდენტები ოლღა ბერძენაძე, თამარ დავლაძე, გვანცა კობერიძე, ნათია გათიკაშვილი და ლანა შამუგია პროგრამის მოდიფიცირების გამო გათავისუფლდნენ 30 კრედიტის საფასურის გადახდისაგან და მათთან გაფორმებული ფინანსური ხელშეკრულებები უცვლელი დარჩეს 2 სასწავლო წლის საფასურის გადახდის ნაწილშიც.

მასობრივი კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი შალვა გოგინავა სწავლობდა რუსულენოვან „ჟურნალისტიკის“ პროგრამაზე, მაგრამ პროგრამამ ვერ გაიარა აკრედიტაცია, რის გამოც სტუდენტი მობილობით გადავიდა ქართულენოვან „მასკომუნიკაციის“ პროგრამაზე, გთხოვთ გაათავისუფლოთ განსხვავებული კრედიტების საფასურის გადახდისაგან და მასთან გაფორმებული ფინანსური ხელშეკრულება უცვლელი დარჩეს 2 სასწავლო წლის საფასურის გადახდის ნაწილში. ეს საკითხი განხილული იქნა აკადემიურ საბჭოზე და ასევე, ინფორმირებულია რექტორი.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მესამე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 4 აპრილის =24 სხდომაზე პროფ. რუსუდან ქუთათელაძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის შესახებ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 28 თებერვლის დადგენილება №880.

სენატმა გადაწყვიტა:

1. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის „ტექსტის რეფერირებისა და თარგმანის“ სამაგისტრო პროგრამის მე-2 სასწავლო წლის სტუდენტები მაგდა ბაქანიძე და დიანა კუნჭულია, რომლებსაც მოპოვებული ჰქონდათ 100%-ანი სასწავლო გრანტი, მაგრამ პროგრამამ ვერ გაიარა აკრედიტაცია, რის გამოც შეწყდა სახელმწიფოს მიერ სასწავლო გრანტით დაფინანსება, გათავისუფლდნენ ერთი წლის სწავლის საფასურის გადახდისაგან.
2. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის „ტექსტის რეფერირებისა და თარგმანის“ სამაგისტრო პროგრამის მე-2 სასწავლო წლის სტუდენტები ოლღა ბერძენაძე, თამარ დავლაძე, გვანცა კობერიძე, ნათია გათიკაშვილი და ლანა შამუგია პროგრამის მოდიფიცირების გამო გათავისუფლდნენ 30 კრედიტის საფასურის გადახდისაგან და მათთან გაფორმებული ფინანსური ხელშეკრულებები უცვლელი დარჩეს 2 სასწავლო წლის საფასურის გადახდის ნაწილშიც.
3. „მასობრივი კომუნიკაციის“ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი შალვა გოგინავა, რომელიც სწავლობდა რუსულენოვან „ჟურნალისტიკის“ პროგრამაზე, მაგრამ პროგრამამ ვერ გაიარა აკრედიტაცია, რის გამოც სტუდენტი მობილობით გადავიდა ქართულენოვან „მასკომუნიკაციის“ პროგრამაზე, გათავისუფლდეს განსხვავებული კრედიტების საფასურის გადახდისაგან და მასთან გაფორმებული ფინანსური ხელშეკრულება უცვლელი დარჩეს 2 სასწავლო წლის საფასურის გადახდის ნაწილში.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და სწავლების დეპარტამენტის სტრუქტურაში და განყოფილებების დასახელებებში ცვლილებების შეტანის შესახებ. აკადემიური

საბჭოს 2013 წლის 15 მარტის დადგენილება №892 – მომხსენებელი პროფ. იური ლომიძე.

პროფ. იური ლომიძე: მოკლედ მოგახსენებთ, რომ მხოლოდ იცვლება სახელწოდება, სამტატო განრიგი უცვლელი რჩება და ასევე უცვლელია სახელფასო ფონდიც. შესაბამისად, სწავლების დეპარტამენტის სასწავლო პროცესის მართვის მონიტორინგის ჯგუფს გვინდა ეწოდოს მონიტორინგის განყოფილება და სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის განყოფილებას შეეცვალოს სახელწოდება და იგი იკითხებოდეს შემდეგი რედაქციით: სწავლებისა და მეცნიერების ხარისხის კონტროლის განყოფილება.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეოთხე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 4 აპრილის =24 სხდომაზე პროფ. იური ლომიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და სწავლების დეპარტამენტის სტრუქტურაში და განყოფილებების დასახელებებში ცვლილებების შეტანის შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 15 მარტის დადგენილება №892.

სენატმა გადაწყვიტა:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება სტუ-ს სტრუქტურაში და სწავლების დეპარტამენტის სასწავლო პროცესის მართვის მონიტორინგის ჯგუფს ეწოდოს მონიტორინგის განყოფილება.
2. მიღებულ იქნეს მონიტორინგის განყოფილების დებულება.
3. შეიცვალოს სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის განყოფილების სახელწოდება და იგი იკითხებოდეს შემდეგი რედაქციით: სწავლებისა და მეცნიერების ხარისხის კონტროლის განყოფილება.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეხუთე საკითხი – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „შენობა-ნაგებობებში ენერგოდამზოგი ტექნოლოგიების და განახლებადი ენერჯის

გამოყენების ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 15 მარტის დადგენილება №893 – მომხსენებელი პროფ. მამული გრძელიშვილი;

პროფ. მამული გრძელიშვილი: ამ ცენტრის შექმნა განპირობებულია იმით, რომ აუცილებელია გადავიდეთ არსებული წიაღისეულის დაზოგვაზე და გამოვიყენოთ შენობა-ნაგებობებში ენერგოდამზოგი ტექნოლოგიები. ცენტრი იქნება თვითდაფინანსებაზე.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეხუთე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 4 აპრილის =24 სხდომაზე პროფ. მამული გრძელიშვილმა წარმოადგინა საკითხი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „შენობა-ნაგებობებში ენერგოდამზოგი ტექნოლოგიების და განახლებადი ენერჯის გამოყენების ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 15 მარტის დადგენილება №893.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „შენობა-ნაგებობებში ენერგოდამზოგი ტექნოლოგიების და განახლებადი ენერჯის გამოყენების ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეექვსე საკითხი – სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „უძველესი სამშენებლო ტექნოლოგიების განვითარების სამეცნიერო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 15 მარტის დადგენილება №897 – მომხსენებელი პროფ. ივანე ბატიაშვილი.

პროფ. ივანე ბატიაშვილი: სამშენებლო კუთხით, ჩვენი მიზანია განვავითაროთ უძველესი ტექნოლოგია, რომელიც დღეს არ გამოიყენება. იდეა არის პერსპექტიული და ცენტრი იქნება თვითდაფინანსებაზე

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეექვსე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 4 აპრილის =24 სხდომაზე ბატონმა ივანე ბატიაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „უძველესი სამშენებლო ტექნოლოგიების განვითარების სამეცნიერო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 15 მარტის დადგენილება №897.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „უძველესი სამშენებლო ტექნოლოგიების განვითარების სამეცნიერო ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ სენატის წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, სენატის წევრებს მაღლობა მოახსენა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სენატის სპიკერი,

პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სხდომის მდივანი,

სტუდენტი

ბექა კოპაძე